# ზამთრის X ოლიმპიური თამაშები · გრენობლი 1968

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 34 (3518) 18 1968 წ. თებერვალი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## გუშინ...

გაიმართა მოთხილამურეთა შეჯიბრება 50 კილომეტრზე. ოლიმპიური ჩემპიონობა დაისაკუთრა ო. ელეფსეტერმა (ნორვეგია) — 2.28,45,8. მეორე პრიზიორი გახდა საბჭოთა სპორტსმენი, მოსკოველი დინამოელი ვ. ვედენინი — 2:29.02,5, „ბრინჯაო" დაისაკუთრა შვეიცარიელმა ი. ჰააზმა — 2:29.14,8.

შედგა ჰოკეისტთა ტურნირის გადამწყვეტი მატჩები. პირველად ითამაშეს ჩეხოსლოვაკიისა და შვეციის ნაკრებმა გუნდებმა. უკვე მე-5 წუთზე წინ გავიდნენ შვედები. 11 წუთის შემდეგ ანგარიში გახდა 1:1. II პერიოდში შვეციის ნაკრები კვლავ დაწინაურდა—2:1. დასკვნით 20 წუთში თამაში უფრო დაძაბული გახდა. ორივე კართან იქმნებოდა სახიფათო მომენტები და მე-7 წუთზე ანგარიში გათანაბრებულ იქნა — 2:2 და შეხვედრაც ამ შედეგით დამთავრდა. სსრ კავშირისა და კანადის გუნდების მატჩი გვიან ღამით დამთავრდა.

## შვარცის ხერხის დაღვა

ფიგურისტ ვაჟთა ასპარეზობა რომ დაიწყო, წარმატებას ავსტრიელებს — ე. დანცერს, ვ. შვარცს, ფრანგ — პ. პერას, ამერიკელებს — ჯ. ვიხკონტის, ტ. ვუდს უწინასწარმეტყველებდნენ.

მსოფლიოს ორგზის და ევროპის ოთხგზის ჩემპიონმა დანცერმა სავალდებულო ვარჯიშები ისე უხეიროდ შეასრულა, ყველა გაკვირვებული დარჩა. ლიდერობა ხელთ იგდო შვარცმა, რომელმაც საგრძნობლად ჩამოიტოვა მეტოქეები — 1006,6. II ადგილზე ვუდი დამკვიდრდა — 992,4, III — პერა — 990,4. დანცერი მხოლოდ მეოთხე იყო — 974,6.

შეჯიბრების დასკვნით დღეს დანცერმა თქვა თავისი სიტყვა: მისი ნებისმიერი ვარჯიში მართლაც შესანიშნავი იყო. რთული პირუეტები, უძნელესი ნახტომები, უჩვეულო არტისტულობა — აი, რით გამოირჩეოდა მსოფლიო ჩემპიონის გამოსვლა.

მსაჯების შეფასებაც ძალზე მაღალი იყო. მაგრამ დაკარგულის ანაზღაურება დანცერმა ვერ შეძლო. ბრწყინვალედ ივარჯიშეს ვუდმა, პერამ, შვარცმა. ეს უკანასკნელი უკვე გრძნობდა ოქროს მედლის სიახლოვეს და დაუძაბავად შეასრულა ურთულესი, ძალზე მოხდენილი ვარჯიში.

ოლიმპიური ჩემპიონობა შვარცმა მოიპოვა. ამ შესანიშნავ სპორტსმენს, როგორც იქნა, ერგო I ადგილი. იგი ხომ დანცერის შემდეგ მუდამ მეორე იყო დავოსში, ინსბრუკში, ვესტეროსში... „ვერცხლი" მოიხვეჭა ვუდმა, „ბრინჯაო" პერამ. დანცერი მეოთხე ადგილზე გავიდა. ჩვენი სპორტსმენებიდან საუკეთესომ — ს. ჩეტვერუხინმა IX ადგილი დაიკავა.

* * *



სურათზე: ვ. შვარცი ასპარეზობისას.

## თამაშების ცანდი

### თხილამურები. ბიატლონისტთა ესტაფეტა 4×7,5 კმ

1. სსრ კავშირი (ა. ტიხონოვი, ნ. პუზანოვი, ვ. მამატოვი, ვ. გუნდარცევი) — 2:13.02,4;
2. ნორვეგია — 2:14.50,2;
3. შვეცია — 2:17.26,3;
4. პოლონეთი — 2:20.19,6;
5. ფინეთი — 2:20.41,8;
6. გდრ — 2:21.54,5.

### ციგურები. ვაჟთა 1500 მეტრზე რბენა

1. კ. ფერკერკი (ჰოლანდია) — 2.03,4 (მსოფლიო და ოლიმპიური რეკორდი);

2-3. ა. სხენკი (ჰოლანდია) — 2.05,0;

2-3. ი. ერიკსონი (ნორვეგია) — 2.05,0;

4. მ. ტომასენი (ნორვეგია) — 2.05,1;

5-6. ბ. ტვეტერი (ნორვეგია) — 2.05,2;

5-6. ი. ჰიოგლინი (შვეცია) — 2.05,2;

8. ე. მატუსევიჩი (სსრ კავშირი) — 2.06,1.

### თხილამურები. ქალთა ესტაფეტა 3×5 კმ

1. ნორვეგია (ი. აუფლესი, ე. დამონი, ბ. მერდრე) — 57.30,0;
2. შვეცია — 57.51,0;
3. სსრ კავშირი — 58.13,6;
4. ფინეთი — 58.45,1;
5. პოლონეთი — 59.04,7;
6. გდრ — 59.33,9.



## ოლიმპიური ცნობათა ბიურო

### 18 თებერვალი თამაშების პროგრამაშია:

1. 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა — 15 ს. 45 წ;
2. ოლიმპიადის საზეიმო დახურვა — 23 ს. 00 წ.

### ტელეეკრანებზე ნახავთ:

1. 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა — 15 ს. 45 წ;
2. ოლიმპიადის საზეიმო დახურვა — 23 ს. 00 წ.

### რადიოთი მოისმენთ:

1. ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე — 24 ს. 00 წ.

ამ სურათზე თქვენ ხედავთ ტ. ჟუკსა და ა. გორელიკს, რომლებმაც ოლიმპიური კვარცხლბეკის მეორე საფეხური დაიკავეს. გაქარწყლდა მითი, რომ ორწლიანი შესვენების შემდეგ ისინი ველარ შეძლებდნენ მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვებას. ჟუკმა და გორელიკმა კი „ვერცხლის ციგურებით" დაამთავრეს ასპარეზობა.

## მედლები და ქულები

მდგომარეობა 17 თებერვლისთვის

| | ოქრო | ვერცხ. | ბრინჯ. | IV ადგ. | V ადგ. | VI ადგ. | ქულა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 5 | 5 | 1 | 4 | 1 | 2 | 79 |
| სსრ კავშირი | 3 | 4 | 3 | 3 | 3 | 5 | 78 |
| ავსტრია | 3 | 1 | 3 | 4 | 4 | 1 | 59 |
| საფრანგეთი | 3 | 3 | 3 | 2 | 2 | 1 | 55 |
| ჰოლანდია | 3 | 3 | 3 | 0 | 2 | 0 | 51,5 |
| ფინეთი | 1 | 2 | 2 | 4 | 5 | 2 | 49,5 |
| შვეცია | 2 | 2 | 2 | 2 | 3 | 2 | 45,5 |
| აშშ | 1 | 3 | 2 | 2 | 4 | 3 | 44,5 |
| გფრ | 2 | 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 34 |
| იტალია | 3 | 0 | 0 | 0 | 2 | 2 | 27 |
| გდრ | 0 | 2 | 2 | 1 | 0 | 2 | 23 |
| შვეიცარია | 0 | 2 | 2 | 0 | 1 | 0 | 20 |
| პოლონეთი | 0 | 0 | 0 | 4 | 2 | 1 | 17 |
| ჩეხოსლოვაკია | 1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 15 |
| კანადა | 1 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 12 |
| ინგლისი | 0 | 0 | 0 | 1 | 1 | 1 | 6 |
| რუმინეთი | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 4 |
| უნგრეთი | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 1 |

# მსოფლიო ჩემპიონი სტუმრად თბილისში

## სსრ კავშირის კალათბურთელთა ნაკრების სავიზიტო ბარათები

სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები მეორე თვეა რაც ოლიმპიურ სამზადისს შეუდგა. გუნდის მწვრთნელები ა. გომელსკი და ა. ოზეროვი მოცემულ ეტაპზე მთავარ ყურადღებას საკონტროლო მატჩებს ანიჭებენ, რადგან სწორედ ამ შეხვედრებში ყალიბდება ნაკრების სახე და ზუსტდება მისი შემადგენლობა.

საბჭოთა კალათბურთელებმა, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა პირველი საკონტროლო მატჩი შარშან, **26 დეკემბერს** გამართეს. ისინი კიევში ადგილობრივ არმიელებს შეხვდნენ. გამარჯვება ანგარიშით 84:79 (44:34) ნაკრების წევრებმა მოიპოვეს. აი ვინ რამდენ წუთს ითამაშა ნაკრებში და რამდენი ქულა შესძინა გუნდს: საკანდელიძე (24 წუთი, 10 ქულა), შელოვი (23,6), პაულაუსკასი (29, 18), პოლივოდა (23,9), ანდრეევი (26,10), ვოლნოვი (15,14), ტომსონი (24,7), კრიკუნი (13,4), პოგულიაი (12,4), ნიკიტინი (6,2), ზასტუხოვი (5,0). ამ მატჩის შემდეგ ნაკრებმა კიდევ 8 შეხვედრა ჩაატარა.

**27 დეკემბერი.** „სტროიტელი" (კიევი) — სსრ კავშირი (ნაკრები) 64:98 (25:45). ბელოვი (19,10), საკანდელიძე (15,2), ტომსონი (24,8), პოლივოდა (20,19), პაულაუსკასი (25,15), კრიკუნი (21,11), პოგულიაი (19,11), ქორქია (13,4), ანდრეევი (20,8), ქარმუხამედოვი (15,8), ზასტუხოვი (9,2).

**5 იანვარი.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — სსრ კავშირი (ნაკრები) 93:96 (49:41). საკანდელიძე (20,2), ბელოვი (30,17), ვოლნოვი (34,21), პოლივოდა (13,4), ტომსონი (16,8), პოგულიაი (7,0), კრიკუნი (23,6), პაულაუსკასი (35,20), ქარმუხამედოვი (6,0), ლიპსო (17,12), ანდრეევი (25,6).

**6 იანვარი.** „სპარტაკი" (ლენინგრადი) — სსრ კავშირი (ნაკრები) 72:95 (32:38). საკანდელიძე (25,6), ბელოვი (26,7), ლიპსო (20,6), პოლივოდა (26,11), პაულაუსკასი (29,16), კრიკუნი (23,12), პოგულიაი (40,0), ვოლნოვი (8,4), ტომსონი (18,17), ანდრეევი (14,12), ქარმუხამედოვი (3,0), ქორქია (2,4).

**9 იანვარი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — სსრ კავშირი (ნაკრები), 65:94 (30:41). ბელოვი (21,10), კრიკუნი (23,14), ლიპსო (21,10), პოლივოდა (17,5), პაულაუსკასი (14,12), საკანდელიძე (22,8), პოგულიაი (14,4), ვოლნოვი (17,8), ანდრეევი (9,4), ტომსონი (18,7), ქარმუხამედოვი (16,10), ქორქია (8,2).

**10 იანვარი.** „ჟალგირისი" (კაუნასი) — სსრ კავშირი (ნაკრები) 90:85 (44:42), ვოლნოვი (25,25), კრიკუნი (12,0), პოლივოდა (27,14), ლიპსო (19,4), ტომსონი (26,14), პოგულიაი (12,2), საკანდელიძე (30,10), ქორქია (7,2), ანდრეევი (16,2), ბელოვი (26,12).

**9 თებერვალი.** ვეფ (რიგა) — სსრ კავშირი (ნაკრები) 69:81 (28:34). კრიკუნი (21,11), საკანდელიძე (23,2), პაულაუსკასი (19,10), პოლივოდა (16,5), ლიპსო (18,8), ბელოვი (22,0), პოგულიაი (14,2), ვოლნოვი (21,14), ანდრეევი (21,13), ტომსონი (11,6), ქარმუხამედოვი (4,0), იურგენსონი (11,10),

**10 თებერვალი.** ასკ (რიგა) — სსრ კავშირი (ნაკრები) 78:86 (33:37). საკანდელიძე (23,6), პოგულიაი (10,3), ვოლნოვი (17,17), პოლივოდა (23,12), ტომსონი (20,6), კრიკუნი (13,0), ბელოვი (25,8), პაულაუსკასი (20,16), ლიპსო (23,6), იურგენსონი (9,4), ანდრეევი (17,8).

**12 თებერვალი.** ასკ (რიგა) — სსრ კავშირი (ნაკრები) 74:85 (39:35). საკანდელიძე (20,0), ბელოვი (21,6), პაულაუსკასი (21,12), პოლივოდა (20,8), ლიპსო (20,8), კრიკუნი (14,5), პოგულიაი (9,6), ვოლნოვი (22,22), ტომსონი (17,7), იურგენსონი (11,1), ანდრეევი (21,8), ქარმუხამედოვი (4,2).

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნათლად ჩანს თუ რომელმა კალათბურთელმა რამდენი მატჩი ჩაატარა ნაკრების შემადგენლობაში, სულ რამდენ წუთს დაჰყო მოედანზე და რამდენი ქულა შესძინა გუნდს.

| | თამაში | წუთი | ქულა |
|---|---|---|---|
| საკანდელიძე | 9 | 202 | 46 |
| ბელოვი | 9 | 213 | 76 |
| კრიკუნი | 9 | 163 | 63 |
| ტომსონი | 9 | 172 | 80 |
| პოგულიაი | 9 | 137 | 32 |
| ვოლნოვი | 8 | 159 | 122 |
| პაულაუსკასი | 8 | 192 | 119 |
| პოლივოდა | 9 | 185 | 87 |
| ანდრეევი | 9 | 162 | 71 |
| ლიპსო | 7 | 138 | 54 |
| ქარმუხამედოვი | 6 | 48 | 20 |
| იურგენსონი | 3 | 31 | 15 |
| ქორქია | 3 | 30 | 12 |
| ზასტუხოვი | 2 | 14 | 2 |
| ნიკიტინი | 1 | 6 | 2 |

სსრ კავშირის ნაკრები ხვალ და ზეგ თბილისის სპორტის სასახლეში მორიგ შეხვედრას მართავს. მისი მეტოქე ამჯერად თბილისის „დინამო" და საქართველოს ნაკრები იქნება.

### გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 67:43 (29:19).

# კრიზები — საუკეთესოებს



თბილისის სპორტის სასახლეში საინტერესოდ მიმდინარეობდა ქალაქის სპეციალიზებულ ნორჩ ფეხბურთელთა სკოლების გუნდების შეჯიბრება (6×6). როგორც ფიუწყებოდით, ტურნირში გამარჯვება მოიპოვა „ნაკადულმა", რომელსაც გადაეცა სპორტის სასახლის პრიზი.

ტურნირის მონაწილეთათვის დაწესებული იყო სხვა ჯილდოებიც: გაზეთ „ნორჩი ლენინელის" პრიზი — საუკეთესო მეკარეს, გადაეცა სკოლა-ინტერნატის გუნდის წევრს თ. ჩოხელს.

„ლოკომოტივის" გუნდის წევრი ზ. გომართელი ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი აღმოჩნდა, რისთვისაც იგი დაჯილდოვდა თბილისის ფეხბურთის ფედერაციის სიგელით.

თბილისის სპორტკავშირის პრიზი — ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელს, მიენიჭა „ნაკადულის" მოთამაშეს — გ. გელაშვილს, ხოლო საქართველოს ტელევიზიის პრიზის მფლობელი (ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი) გახდა ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის წარმომადგენელი თ. ჯიბლაძე.

სურათზე: ნორჩ ფეხბურთელთა ტურნირში გამარჯვებული — „ნაკადული".

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# პირველად — პლასტიკურ კორტებზე

დღეს იწყება მოსკოვის ზამთრის ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება ჩოგბურთში. ეს რიგით მეთორმეტე ტურნირი გაიმართება ცსკა-ს დარბაზში, სადაც ახლახან პლასტიკური იატაკი დააგეს. წლევანდელ ასპარეზობაში მონაწილეობს საზღვარგარეთის მრავალი საუკეთესო ჩოგბურთელი, მათ შორის პირველად გამოვლენ იაპონელები. გადავხედოთ ისტორიას: 1913 წელს იაპონიის ჩემპიონის სახელი მოიპოვა... ტოკიოში რუსეთის საელჩოს პირველმა მდივანმა. 1967 წელს კი კვლავ საინტერესო ამბავი მოხდა: იაპონიის ჩემპიონი გახდა საბჭოთა ოფიცერი ვ. ეგოროვი, ხოლო მეორე საბჭოთა ჩოგბურთელი ა. ივანოვი II ადგილზე გავიდა. მოსკოვში ორი იაპონელი ითამაშებს. გვარად ორივე ვატანაბეა. მოსკოვში იაპონელებთან ერთად გამოვლენ ინგლისის, პოლონეთის, რუმინეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციისა და სსრ კავშირის ჩოგბურთელები. დავასახელოთ ზოგიერთი მათგანი: უიმბლდონის 1967 წლის ნახევარფინალისტი ქალთა ერთეულებში, ინგლისის მეორე ჩოგანი ვ. უეიდი, ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელები დ. კონტე, პ. ბიოსტი, ჟ. კურკოლი. ინტერესს იწვევს პოლონეთის ვიცე-ჩემპიონ ტ. ნოვიცკის მონაწილეობაც. შარშან, ვარშავაში იგი მხოლოდ მას შემდეგ დამარცხდა ინგლისის ჩემპიონ რ. ტეილორთან, როცა გადამწყვეტ პარტიაში ასეთი ანგარიში იყო — 33:35!

უცხოელ ჩოგბურთელებს მასპინძლობას გაუწევენ სპორტის დამსახურებული ოსტატები ა. დმიტრიევა, ა. მეტრეველი, თ. ლეიუსი, ს. ლიხაჩოვი, აგრეთვე გ. ბაქშეევა, ო. მოროზოვა, ვ. ეგოროვი, ვ. კოროტკოვი და სხვები.

# დაიწყო...

ბაკურიანი, 17 თებერვალი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოთხილამურეთა მორიგ ჩემპიონატზე თბილისის, ბორჯომის, მესტიის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ბოგდანოვკის, ქუთაისის, ახალქალაქის, ამბროლაურის, ლენტეხისა და ონის 200-მდე სპორტსმენმა მოიყარა თავი. გუნდები სიძლიერის მიხედვით ორ ჯგუფად დაიყვნენ. I ჯგუფში შევიდნენ თბილისის, მესტიისა და ბორჯომის კოლექტივები. დანარჩენები II ჯგუფში ასპარეზობენ. გუშინწინ, ტურნირის საზეიმო გახსნაზე, მონაწილეებს მიესალმა საქართველოს კომპარტიის ბორჯომის რაიკომის პირველი მდივანი ბ. კუხიანიძე. შემდეგ აღიმართა ჩემპიონატის ალამი.

მეორე დილით კოხტაგორაზე გაიმართა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. 1600-მეტრიან ტრასაზე 10 კარი იდგა. სიმაღლეთა სხვაობა 850 მეტრს შეადგენდა.

ვაჟთა ასპარეზობის სტარტი 22 სპორტსმენმა აიღო და მათგან ფინიშთან მხოლოდ 18 მივიდა. ერთპიროვნული გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა, ვინაიდან თბილისის გუნდის წევრებმა, სპორტის ოსტატებმა გ. აბრამიშვილმა („დინამო") და იოსებ ნასყიდაშვილმა („ბურევესტნიკი") საბოლოოდ ერთნაირი შედეგი (1.04,9) აჩვენეს და ჩემპიონობა გაიყვეს. III ადგილი წილად ხვდა სპორტის ოსტატ შ. კოზანაშვილს (ბორჯომი) — 1.06,4.

სწრაფდაშვებაში სპორტსმენები (როგორც ქალები, ისე ვაჟები) მხოლოდ I ჯგუფის გუნდებმა გამოიყვანეს. მესტიელი ვაჟები კარგად გამოვიდნენ, მაგრამ ქალებიდან ამ რაიონის ვერც ერთმა წარმომადგენელმა ვერ დაამთავრა ტრასა. სწრაფდაშვებაში მოასპარეზე 12 ქალიდან პირველი იყო ქუთაისის გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი ლ. გოგოლაძე. გამარჯვებულის შედეგია 1 წუთი და 21,1 წამი. თბილისელი ე. გავა მას მხოლოდ 0,2 წამით ჩამორჩა. III ადგილზეა თბილისელი ნ. ომიაძე — 1.23,4.

მორბენლები იაგორას ველზე ცდიდნენ ძალას. ქალები 5 კმ-ზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ვაჟები — 15 კმ-ზე. ბოგდანოვკელმა ა. კაზაკოვამ პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი და II ადგილი დაიკავა — 22.16,0. რესპუბლიკის ჩემპიონი გახდა თბილისელი სპორტის ოსტატი ქ. კეზბა — 20.58,0. III ადგილზეა ნ. ბალაშვილი (თბილისი) — 22.43,0.

ვაჟებში დისტანციის მესამედის შემდეგ დაწინაურდა ზ. გულბანი (მესტია), რომელსაც ფეხდაფეხ მისდევდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი იაგო ნასყიდაშვილი და ბაკურიანელი თ. თედიაშვილი. გულბანმა დარჩენილ 10 კილომეტრზე უპირატესობა კიდევ უფრო განამტკიცა და გამარჯვებაც დაისაკუთრა — 57.07,0. ჩემპიონს 2 წუთითა და 8 წამით ჩამორჩა ნასყიდაშვილი, რომელმაც თავის მხრივ ზუსტად ამდენივეთი მოუგო პირად პირველობაში მოასპარეზე თედიაშვილს.

შეჯიბრება გრძელდება.

ო. გელაშვილი.

# წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **კომპლექსურ ლონისძიებებში** — ნ. რობაქიძეს (თბილისი), ა. გალიჩს, ე. თხილაიშვილს, ვ. კვაჭაძეს (სამივე — ბათუმი); **ტყვიის სროლაში** — მ. კასაბიანს (თბილისი); **მძლეოსნობაში** — ქ. აბაშიძეს (ხაშური).

• • •

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **მძლეოსნობაში** — დ. ეფრემაშვილს (ქუთაისი); **ცურვაში** — ზ. ნათაძეს (თბილისი); **კომპლექსურ ღონისძიებებში** — ი. რუხაძეს (თბილისი).

[illegible]

### ◆ ზესტაფონი

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ვაჟთა და გოგონათა პირველობაში რაიონის 28 ჭადრაკი მოჭადრაკე მონაწილეობდა. ბიჭებში გაიმარჯვა ხ. მეგრელიშვილმა (1-ლი საშუალო სკოლა), გოგონებში — მ. ზიბზიბაძემ (მე-4 საშუალო სკოლა).

ა. განუგრაშა.

### ◆ ზუგდიდი

ახლახან დამთავრდა ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის სპორტდარბაზის მშენებლობა. ახლა მოსწავლეებს აქვთ საშუალება, რომ ზამთარში რეგულარულად ივარჯიშონ.

ბ. ალშიბაია.

# 9 სახეობაში

დამთავრდა თბილისის „განთიადის" ქალთა I სპარტაკიადა, რომელიც 9 სახეობაში — კალათბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, მძლეოსნობაში, ჭადრაკში, შაშში, ტყვიის სროლაში, ფარიკაობასა და ბადმინტონში ტარდებოდა.

მონაწილენი სამ ჯგუფად დაიყვნენ. პირველ ჯგუფში თავი იახელეს სპორტკლუბ „ფეიქრის" წარმომადგენლებმა, რომელთაც ყველას აჯობეს კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში, ფრენბურთსა და ტყვიის სროლაში II ადგილზე გავიდნენ, ხოლო მძლეოსნობასა და ფარიკაობაში III საპრიზო ადგილები დაიკავეს. საერთო გუნდურ ჩათვლაში „ფეიქარმა" 24 ქულა მოაგროვა და პირველობა დაისაკუთრა. II ადგილზე არიან სპორტკლუბ „განთიადის" წარმომადგენლები, რომლებმაც მძლეოსნობა მოიგეს, ხოლო კალათბურთსა და ჭადრაკში II ადგილები დაიკავეს. III ადგილზეა „უზბა", რომლის წარგზავნილებიც ფარიკაობაში პირველობდნენ, მაგიდის ჩოგბურთსა და შაშში II ადგილები დაისაკუთრეს, ხოლო III ადგილზე გავიდნენ ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში. I ჯგუფში სულ 9 კოლექტივი შედიოდა.

II ჯგუფში ასპარეზობდა 8 კოლექტივი, რომელთაგან უძლიერესი აღმოჩნდა ქარხანა ელექტროგამშვების გუნდი. II ადგილზე გავიდნენ ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური ბიუროს წარმომადგენლები, III ადგილზე არიან საქტრიკოტაჟის ფაბრიკის სპორტსმენი ქალები.

III ჯგუფშიც 8 გუნდი იყო. აქ ყველას აჯობეს ფაბრიკა „კომსომოლკას" სპორტსმენებმა, II ადგილზე გავიდნენ ფეხსაცმლის № 2 ფაბრიკის, ხოლო III — საქსოფლმანქანების ქარხნის წარმომადგენლები.

მასობრიობის მხრივ სპარტაკიადას ვერ დავემდურებით, მაგრამ მონაწილეთა სპორტული ოსტატობის დონე კი უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო.

სხვათა შორის, იყო შემთხვევები, რომ ზოგიერთ სახეობაში გუნდებმა განაცხადი წარმოადგინეს, შეჯიბრებაზე კი არ გამოცხადდნენ. ასე მოიქცნენ, მაგალითად, ელექტროშემდუღებელი (ფრენბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში), ცენტროლიტისა და მიკროძრავის ქარხნების (ჭადრაკში) გუნდები და სხვ.

ა. ცეხანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზამთრის X ოლიმპიური თამაშები · გრენობლი 1968

## სკანდინავიური აკორდი

პოლ მისტრალის პარკის საციგურაოზე 10.000 მეტრზე ასპარეზობაში დიდოსტატნი ჩაებნენ სტაიერები. განსაკუთრებით ძნელი იყო მათთვის, ვინც პირველად დადგა სტარტზე. ყინავდა. ასეთ ვითარებაში კი როგორც წესი, ყინული ნაკლებად გლუვია და მოციგურავეებს ერთობ უჭირთ ხოლმე რბოლა. რბოლის გახსნის ხვედრი ერგო 5.000 მეტრზე გრენობლის ოლიმპიურ ჩემპიონს, ნორვეგიელ ფ. მაიერს. ასეთივე ბედი გაინაწილა მისმა თანამემამულემ, სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ლავრუშკინმა. ამ ორი სპორტსმენის ჭიდილში გაიმარჯვა მაიერმა, ამასთან მან ახალი ოლიმპიური რეკორდით (ძველი ეკუთვნოდა ნორვეგიელ კ. იუხანესენს, რომელიც მან სკვო ველში დაამყარა და უდრიდა 15.46,6-ს) დაამთავრა (15.23,9) რბოლა. ლავრუშკინს ნორვეგიელისთვის განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ გაუწევია და დისტანცია 15 წუთსა და 54,8 წამში გაირბინა. მესამე გარბენში კარგ შედეგს ელოდნენ ჰოლანდიელი კ. ფერკერკისგან. მან ცუდად როდი იასპარეზა, სკვო ველის ოლიმპიურ რეკორდზე უკეთესი დროც აჩვენა (15.33,9), მაგრამ მაიერის შედეგს მაინც ვერ მისწვდა. მეშვიდე გარბენამდე მაიერი ცხრილის სათავეში იყო, მაგრამ სწორედ შეჯიბრების ამ ეტაპზე დაიმსხვრა მისი იმედები. მაიერის ახალი ოლიმპიური რეკორდი დაამხო იმან, ვისგანაც თითქოს ყველაზე ნაკლებს ელოდნენ. ეს გახლდათ შვედი სპორტსმენი ი. ჰიოგლინი. თუმცა მან ამის ერთგვარი განაცხადი 1500 და 5000 მეტრზე ასპარეზობისას გააკეთა: ჰიოგლინმა 1500 მეტრზე V-VI ადგილები გაინაწილა, ხოლო 5000 მეტრზე — V ადგილი დაიკავა. ერთი სიტყვით, მან არად ჩააგდო ტიტულოვანი მეტოქეები, შესანიშნავად დაამთავრა რბოლა და მაიერზე უკეთესი დრო აჩვენა — 15.23,6. კიდევ ერთი, III საპრიზო ადგილი კვლავ შვედს ხვდა წილად. ეს იყო ე. სანდლერი — 15.31,8. აღსანიშნავია ისიც, რომ ფერკერკზე უკეთესად იასპარეზა ნორვეგიელმა პ. გუტორმსენმაც — 15.32,6. ეს შედეგიც სკვო ველის ოლიმპიურ რეკორდზე უკეთესია. შედეგი შედეგად და ორივე — ფერკერკიცა (V ადგილი) და გუტორმსენიც (IV) საპრიზო სამეულში ვერ მოხვდნენ. VI ადგილზე გავიდა ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონი შვედი ი. ნილსონი — 15.39,6.

სსრ კავშირიდან ლავრუშკინის გარდა იასპარეზეს ს. სელიანინმა (15.56,4) და ა. მაშკოვმა (16.22,1).



ოტრანის მიდამოები კარგა ხანს არ სწყალობდა საბჭოთა მოთხილამურეებს. მათ ვერა და ვერ ჩაიგდეს ხელში ოქროს მედალი. მაგრამ საწადელს მაინც მივაღწიეთ. გამარჯვების ავტორები არიან ჩვენი ბიატლონისტები (4×7,5 კმ) — ა. ტიხონოვი, ნ. პუზანოვი, ვ. მამატოვი და ვ. გუნდარცევი. სურათზე სწორედ გამარჯვების სიხარულია აღბეჭდილი. თქვენ ხედავთ (მარცხნიდან) ა. ტიხონოვს, ვ. მამატოვს და ნ. პუზანოვს, რომლებსაც „ოქროს" ფინიშზე მისული თანაგუნდელი ვ. გუნდარცევი ხელში აუტაციათ.



ჰოლანდიელმა მოციგურავემ კორნელიუს ფერკერკმა მისტრალის ოლიმპიურ საციგურაოზე პირველი მედალი 5.000 მეტრზე ასპარეზობაში მოიპოვა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ „ვერცხლი". ფერკერკიცა და მისი გულშემატკივრებიც „ოქროს მაძიებლებად" იყვნენ ცნობილი. ვარაუდობდნენ, რომ იგი ნორვეგიელ ფრედ-ანტონ მაიერთან ჭიდილში გაიმარჯვებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ფერკერკმა ნორვეგიელთან 0,8 წამი წააგო. ჰოლანდიელი მოციგურავე მაინც არ გატყდა და უკვე მეორე დღეს — 1.500 მეტრზე შეჯიბრებაში მისი მძლეველი არავინ იყო — 2.03,4.

ს უ რ ა თ ზ ე: კორნელიუს ფერკერკი.

## თეთრი ოლიმპიადის ტალღაზე

### ● ოლიმპიადა ცისფერ ეკრანებზე

ტელეეკრანი გამუდმებით ადევნებს თვალს ოლიმპიური თამაშების ყველა მონაწილეს. საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის მუშაკები ზუსტად ორი წლის მანძილზე ემზადებოდნენ, რომ ორი კვირის განმავლობაში ეწარმოებინათ გადაცემები გრენობლის ყველა სარბიელიდან. ტრასებზე, დარბაზებში, პრეს-ცენტრში და სხვა ადგილებში 191 სატელევიზიო კამერა და 45 გადამღები მოწყობილობა დგას (მზადდება სპეციალური ოლიმპიური ფილმი და სხვა). ტელევიზიის რეპორტიორებს გზა ყველგან ხსნილი აქვთ. მათ განკარგულებაშია 400 განცალკევებული ჯიხური და რამდენიმე შვეულმფრენი.

### ● 1500 დოლარი ერთ მედალში

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციამ აკრძალეს თხილამურების სარეკლამო მიზნებით გამოყენება. ამას საქმოსანთა რისხვა მოჰყვა. „კარლ შრანცს მე ვმფარველობ,— განაცხადა ავსტრიელმა ფაბრიკანტმა კნეისლმა.— თუ ამ სპორტსმენმა სწრაფდაშვება მოიგო, მან აშკარად უნდა გამოაცხადოს, რომ ჩემი ფირმის თხილამურებით სრიალებს. ამას გარდა, შრანცმა ჩემი ფირმის ნიშანი უნდა გადაალებინოს ფოტორეპორტიორებსა და ტელევიზიის ოპერატორებს. მე რეკლამისთვის საზღაურს ვიძლევი და სულაც არ მსურს ფული ქარს გავატანო".

კნეისლმა იქვე მინიშნებით თქვა, რომ თუ რომელიმე სპორტსმენი გაყიდის, იგი მზადაა რამდენიმე ოლიმპიური მედალიც შეიძინოს. ეს სურვილი მარტო ავსტრიელ საქმოსანს როდი გასჩენია. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ევერი ბრენდეჯმა აღნიშნა, რომ თხილამურების ფაბრიკების პატრონებმა უკვე დაიწყეს მედლებზე ნადირობა და მტკიცე ფასიც დააწესეს: ოქროს მედლისთვის 1500 დოლარს იძლევიან, ვერცხლის მედლისთვის — 1200, ბრინჯაოს მედლისთვის — 1000 დოლარს. ბრენდეჯმა განაცხადა: ყოველ სპორტსმენს, რომელიც თავის მედალს გაყიდის, დაუყოვნებლივ ჩამოვართმევთ სამოყვარულო სტატუსს.

## ლიდერთა ცვლა

### ● ციგურაობაში ქალთა შეჯიბრების შედეგებზე ●

მოციგურავე ქალთა შეჯიბრებამ, მოულოდნელად, დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. ახალი წრე მისტრალის პარკში შესანიშნავი სარბიელი აღმოჩნდა. სპორტსმენებმა ყინულის ბილიკს „სწრაფი" უწოდეს. ეს უდიდესი ქებაა. შემთხვევითი როდია, რომ ოთხიდან სამ დისტანციაზე ახალი ოლიმპიური რეკორდები დამყარდა.

უძლიერესთა ამ შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაადასტურა თუ რაოდენ გაიზარდა საციგურაო სპორტის პოპულარობა ქალთა შორის. გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში ჰოლანდიელები შესამჩნევი უპირატესობით პირველობდნენ. თავად განსაჯეთ: მათ მოიპოვეს ორი ოქროს, ერთი ვერცხლის, ორი ბრინჯაოს მედალი — სულ გათამაშებული პრიზების თითქმის ნახევარი. არაოფიციალურ ჩათვლაში ჰოლანდიელმა ქალებმა 31 ქულა მოაგროვეს. საერთაშორისო სარბიელზე პოზიციები განიმტკიცეს ფინელმა მოციგურავე ქალებმა, რომლებიც ადრე V-VI ადგილებს სჯერდებოდნენ. ახლა მათმა ლიდერმა კაია მუსტონენმა ოქროსა და ვერცხლის მედლები დაისაკუთრა, ფინეთის გუნდი კი II ადგილზე გავიდა. ეს უეჭველი მიღწევაა.

III ადგილი ქულების მიხედვით დაიკავა სსრ კავშირის გუნდმა, რომელიც აქამდე მუდამ საციგურაო სპორტის ლიდერი იყო.

ჯერ კიდევ სტარტამდე ამბობდნენ, საბჭოთა სპორტსმენი ქალები სპრინტში კარგად გამოვლენო. საშუალო (1.500 მეტრი) და გრძელ (3.000 მეტრი) დისტანციაზე კი ჩვენები მოიკოჭლებდნენ. პროგნოზები გამართლდა. ჩვენებიდან მხოლოდ ლიუდმილა ტიტოვამ გამოავლინა სრულად თავისი შესაძლებლობები. მან მოიგო ოქროს მედალი 500 მეტრზე და ვერცხლის მედალი 1.000 მეტრზე რბენაში.

საშუალო და გრძელ მანძილებზე საბჭოთა მოციგურავე ქალებმა V-VI ადგილებზე გადაინაცვლეს. ადრე ასე არ იყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ გრენობლის შედეგები ბევრად ალემატება ოთხი წლის წინ მოპოვებულ მაჩვენებლებს. მაშინ, ინსბრუკში, ლიდია სკობლიკოვამ ოთხივე დისტანციაზე თითქმის უბრძოლველად გაიმარჯვა.

საციგურაო სპორტი აშკარად წინ წავიდა. ამიტომ მან სპორტსმენებისგან მოითხოვა ინტენსიური მომზადება და სრული ძალით ასპარეზობა. ბრძოლის პირობები გამკაცრდა. ეს განსაკუთრებით გამოჩნდა 3.000 მეტრზე რბენაში, სადაც სამგზის დამყარდა ახალი ოლიმპიური რეკორდი, ძველი კი, რომელიც სკობლიკოვას ეკუთვნოდა, რვა მოციგურავემ „მოხსნა". ეს იშვიათი შემთხვევაა ასეთი მასშტაბის შეჯიბრებისთვისაც კი. თითქმის ასეთივე სურათი იყო სხვა მანძილებზე, გარდა ყველაზე მოკლე დისტანციისა.

ჩვენმა მოციგურავე ქალებმა (ტიტოვას არ ვგულისხმობთ) ვერ გაუძლეს გრენობლის გამოცდას, ვერ გამოავლინეს თავიანთი პოტენციური შესაძლებლობები. ყოველ შემთხვევაში, ამ ერთი თვის წინ ალმა-ათასა და მედეოში ნაჩვენები შედეგები ბევრად უკეთესი იყო.

მახსოვს დრო, როცა ჩვენს ქალებს ტოლი არ ჰყავდათ ყინულის ბილიკებზე. მართალია, მაშინ საერთაშორისო სარბიელზე ჩვენს გარდა მხოლოდ ფინელები და ნორვეგიელები ჩანდნენ, მაგრამ საბჭოთა სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ ბოლო წლებშიც, მაგალითად, ინსბრუკის ოლიმპიურ თამაშებში.

რა მოხდა?

ახსნა მრავალგვარი შეიძლება მოიძებნოს, მაგრამ მათგან მთავარი ერთია: ჩვენი მწვრთნელები დღემდე ვერ ახერხებენ, რომ სპორტსმენი განსაკუთრებით საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის ჩააყენონ საუკეთესო ფორმაში. ვფიქრობ, ახლაც ისე მოხდა, რომ ყველაზე უკეთეს ფორმაში ჩვენები ყაზახეთში გამართულ შეჯიბრებაში იყვნენ. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა მარია ისაკოვამ ჩემთან საუბრის დროს თქვა, რომ ჩვენს ხან დიდ ფიზიკურ დატვირთვაზე და ხან ინტენსივობაზე დაფუძნებულ წვრთნის მეთოდიკას სათანადო გამძლეობა არ აღმოაჩნდა. და ეს თავისებურ გავლენას ახდენს შედეგებზე.





**მ. მერუანოვი.**
(აას-ი).

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — ლ. ტიტოვა, ზევით — კ. მუსტონენი.

### საბოლოოდ არ გადაწყვეტილა

**გრენობლი,** 15 თებერვალი. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა დღეს გრენობლში გამართა პრეს-კონფერენცია, რომელზეც გადაწყვიტა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა დაუშვან მეხიკოს XIX ოლიმპიურ თამაშებში.

გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საერთაშორისო კომიტეტს იმედი აქვს, რომ „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მის ქვეყანაში არ ჰქონდეს ადგილი რასობრივ დისკრიმინაციას". საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ამ საკითხის განხილვას დაუბრუნდება 1970 წლის ბოლოს.

### კინოფესტივალის ფინიში

**გრენობლი,** 17 თებერვალი. აქ რამდენიმე დღე მიმდინარეობდა დოკუმენტური სპორტული ფილმების ფესტივალი. თავიანთი ნამუშევრები წარმოადგინეს ავსტრიის, აშშ-ის, იუგოსლავიის, კანადის, საბჭოთა კავშირის, ჩეხოსლოვაკიის და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა. ჩვენმა ქვეყანამ ფესტივალზე აჩვენა „მოძრაობათა საკვირველი სამყარო", უკონკურსოდ კი — „მაიბა, მაიბა" („ხიოუზმულტფილმი"), „ტანმოვარჯიშე" (კიევის კინოსტუდია).

I პრიზი მიენიჭა ფრანგულ ფილმს „გაუმარჯოს ველორბოლას" (რეჟისორი ლ. მალი). პრემიები დაისაკუთრეს კანადურმა ფილმმა „დონ ჯექსონი" (ცნობილ ფიგურისტზე), იუგოსლავიურმა — „ჰოკეიმ" უნგრულმა — „კვირაში ხუთჯერ".

# კარგი დასაწყისი

თელავში დამთავრდა შეჯიბრება საქართველოში ძალოსნური სპორტის ფუძემდებლის მსოფლიოს ექს-რეკორდსმენის, სპორტის დამსახურებული ოსტატის გიორგი ჩიკვაიძის ხსოვნის თასზე.

გარდამავალი თასი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრებ კოლექტივებს შორის თამაშდება. ამას გარდა, თელავის სპორტული საზოგადოებრიობა ყოველწლიურად აწესებს პრიზებს ყოველ წონით კატეგორიაში გამარჯვებულებისთვის.

საქართველოს უძლიერესი ძალოსნები თელავის სასურველი სტუმრები არიან. წლევულს შეჯიბრებამ განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია.

თასი წლევულსაც „განთიადის“ სპორტსმენებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. წერეთელი) მოიპოვეს. მათთან მხოლოდ ორი ქულა წააგეს „კოლმეურნის“ ათლეტებმა, III ადგილზე არიან „სპარტაკის“ წარმომადგენლები.

ამ შეჯიბრებაში საქართველოს 5 რეკორდი დამყარდა: ა. ჩოლოკიანმა (მჩატე წონა) 105,5 კილოგრამი აჭიმა, ო. დემუროვმა (ქვემძიმე წონა) 155 კილოგრამი აჭიმა, 135 კილოგრამი აკრა და სამჭიდში 460 კილოგრამი დააგროვა, ა. ჯეჯელავამ (მძიმე წონა) 171 კილოგრამი აჭიმა. ეს შედეგი მხოლოდ ერთი კილოგრამით ჩამორჩება სსრ კავშირის რეკორდს.

დამყარდა რესპუბლიკის 3 ახალგაზრდული რეკორდიც.

დ. შანიძემ და ა. ჯეჯელავამ საკავშირო რეკორდების დამყარებაც სცადეს. ამჯერად სპორტსმენებმა საწადელს ვერ მიაღწიეს, მაგრამ, ვფიქრობთ, ისინი მალე გააუმჯობესებენ რეკორდებს ცალკეულ მოძრაობებში, მიაღწევენ სასურველ ჯამს სამჭიდში: შანიძე — 380 კილოგრამს, ჯეჯელავა — 505 კილოგრამს.

კარგი შედეგები მოიპოვეს ახალგაზრდებმაც. 22 წლის მძიმეწონოსანმა დ. ხიზამბარელმა („ლოკომოტივი“, მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვ. ბასილაძე) აკვრაში 180 კილოგრამი აჩვენა, ქვემძიმე წონაში მოასპარეზე 17 წლის რ. გომარელმა („სპარტაკი“, მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ზ. ყიფშიძე), სამჭიდში 360 კილოგრამი დააგროვა და პირველი თანრიგი შეასრულა.

თელავის სპორტულმა საზოგადოებრიობამ აზრი გამოთქვა, რომ ჩიკვაიძის ხსოვნის თასზე შეჯიბრება ღია ასპარეზობად ვაქციოთ და მასში მონაწილეობისთვის სსრ კავშირის უძლიერესი ძალოსნები მოვიწვიოთ. კარგი აზრია და საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას მართებს ფიქრი ამ საინტერესო ღონისძიების ორგანიზაციაზე.

ცალკეულ წონით კატეგორიებში გაიმარჯვეს ა. ჩოლოკიანმა („კოლმეურნე“) 305 კგ, დ. შანიძემ („განთიადი“) — 355, დ. გოქსაძემ („კოლმეურნე“) — 360, შ. კაცობაშვილმა („სპარტაკი“) — 380, რ. გასპარიანმა — 410, ო. დემუროვმა (ორივე — „განთიადი“) — 460, ა. ჯეჯელავამ („კოლმეურნე“) — 490, მ. კალაშიანმა („სპარტაკი“) — 465.

**დ. კაკაოვი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.





* * *

სურათებზე: მარცხნივ — ო. დემუროვი; მარჯვნივ — ა. ჯეჯელავა.

ფოტო ა. ვართანოვისა.

## ფეხბურთი

# ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

### ბელგია

ჩემპიონატის XVIII ტურში ლიდერმა — „ფკ ბრიუგემ“ წააგო „შარლერუასთან“ (0:1), ხოლო ბრიუსელის „ანდერლეხტმა“ ფრედ ითამაშა „ვარეგემთან“ (1:1) და გაუსწრო თავის ძირითად მეტოქეს.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ (ბრიუს.) | 18 | 42:15 | 27 |
| „ფკ ბრიუგე“ | 18 | 33:12 | 26 |
| „სტანდარდი“ (ლიეჟი) | 18 | 34:24 | 23 |

### პორტუგალია

ლისაბონის „ბენფიკამ“ მორიგ ტურში შინ ასტრონომიული ანგარიშით მოუგო I ლიგის ახალბედა გუნდს „ბარეირენსეს“ — 8:2. ლისაბონის „სპორტინგმა“ აგრეთვე დიდი ანგარიშით დაამარცხა II ახალბედა — „ტირსენსე“ — 5:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბენფიკა“ | 15 | 41:13 | 25 |
| „სპორტინგი“ | 15 | 32:13 | 25 |
| „ფკ პორტუ“ | 15 | 34:12 | 22 |

### ჰოლანდია

გათამაშების ლიდერმა — როტერდამის „ფეიენოორდმა“ მორიგ ტურში მოუგო ჰააგის ადო-ს — 1:0. ქვეყნის ჩემპიონმა და თასის მფლობელმა — ამსტერდამის „აიაქსმა“ გასვლით მატჩში ფრედ ითამაშა „სიტარდიასთან“ — 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ფეიენოორდი“ | 23 | 61:13 | 41 |
| „აიაქსი“ | 23 | 68:15 | 37 |
| ადო (ჰააგა) | 24 | 38:24 | 31 |

### გფრ

ლიდერმა — „ნიურნბერგმა“ მორიგ ტურში ფრედ დაამთავრა შეხვედრა II ადგილზე მყოფ მენჰენგლადბახის „ბორუსიასთან“ — 1:1. ქვეყნის ჩემპიონმა — ბრაუნშვაიგის „აინტრახტმა“ სძლია „კაიზერსლაუტერნს“ — 1:0. დანარჩენი შედეგები ასეთია: „ჰამბურგერ შფ“ — „ალემანია“ 5:1, „მიუნჰენ 1860“ — „ვერდერი“ 1:3, „შალკე 04“ — „შტუტგარტი“ 2:1, „კიოლნი“ — „ბორუსია“ (დორტმუნდი) 3:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნიურნბერგი“ | 22 | 51:24 | 31 |
| „ბორუსია“ (მენჰ.) | 22 | 58:34 | 27 |
| „კიოლნი“ | 22 | 45:34 | 26 |

### შოტლანდია

გლაზგოს „სელტიკმა“ დაამარცხა „სტერლინგ ალბიონი“ (2:0).

| | | | |
|---|---|---|---|
| „გლაზგო რეინჯერსი“ | 23 | 61:19 | 43 |
| „სელტიკი“ | 22 | 61:18 | 39 |
| „ჰიბერნიენი“ | 23 | 48:27 | 31 |

### ესპანეთი

ჩემპიონატის XX ტურს ლიდერთა მდგომარეობაში ცვლილებები არ შეუტანია. მადრიდის „რეალმა“ ფრედ ითამაშა ბილბაოს „ატლეტიკოსთან“ — 0:0. დანარჩენი შედეგებია: „მალაგა“ — „ესპანიოლი“ 1:0, „პონტევედრა“ — „ატლეტიკო“ (მადრიდი) 1:1, „კორდოვა“ — „საბადელი“ 2:1, „რეალ-სარაგოსა“ — „სევილია“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ (მადრიდი) | 20 | 41:16 | 29 |
| „ბარსელონა“ | 20 | 29:18 | 26 |
| „ლას-პალმასი“ | 19 | 34:27 | 24 |

## მოკლედ

● **სტოკჰოლმი.** უჩვეულოდ ადრე იწყებს შვეციის ნაკრები წლევანდელ სეზონს. უკვე თებერვლის მეორე ნახევარში იგი ჩაატარებს მატჩებს ესპანეთისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებთან.

● **ბერნი.** უეფა-ს დადგენილებით ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის 1968-69 წლების გათამაშების პირველი წრის მატჩები გაიმართება 18 სექტემბერსა და 2 ოქტომბერს, მერვედფინალური მატჩები კი 13 და 27 ნოემბერს.

**იან მარეში**

# თავაზიანი უნდა იყო!

(იუმორისტული მოთხრობა)

ფოსტაში ვმუშაობ. ხომ მოგეხსენებათ: ეს ანაბრებიო, ეს ამანათებიო... ასეთ ადგილას ყოველთვის ფრთხილად უნდა იყო, რომ დღის ბოლოს საკუთარი ჯიბიდან არ მოგიხდეს დანაკლისის დადება.

ჰოდა, ახლა თვითონ განსაჯეთ: რა სიკეთე დაგეყრება, თუ გვერდით მყვირალების ბრბო გიდგას და თავს ზემოდან რაღაცას გისწორებენ, ანგლობენ, იგინებიან, გემუქრებიან და ისეთი გნიასი აქვთ თითქოს ას ეშმაკს თავი ერთად მოეყაროს?

ჰო, სარკმელთან უამრავი ხალხი დგას. ნე ოპერაციებს ვაწარმოებ, ვწერ ანაბრებს შემნახველი სალაროს წიგნაკში და უცებ მესმის:

— მაგდენ ხანს რას ქექავ, საქმეს რას აჭიანურებ!

თითქოს რაღაცამ მიჩხვლიტაო, საშინლად მეწყინა: მე ხომ ზედმეტს არაფერს ვაკეთებ, ზოგჯერ კალამს ბეწვს თუ მოვაცლი და კვლავ საქმეს ვაგრძელებ.

მაინც შევიკავე თავი. მხოლოდ ჩემთვის ჩავიბურტყუნე:

— რა უტიფრად მელაპარაკები, შე რეგვენო!

წიგნაკს უსიტყვოდ ვუბრუნებ პატრონს და მორიგ კლიენტს ვემსახურები.

კვლავ ხმა. ახლა სხვა ყბედობს:

— შეხეთ, რა კრეტინივით ჩასცქერის წიგნაკს. კაცმა რომ თქვას, ხელფასს რაში იღებენ?-

—მეგობარო, თავაზიანი უნდა იყოთ, — ვთქვი მე და მერე ისეთი რეპლიკა მესროლეს... ბეჭედი უადგილო ადგილას დავსვი.

და აი, ისევ:

— ხედავთ, ხელები უკანკალებს. რა მუშაკია!

ხელები მართლაც ამიკანკალდა. ნეტა სად გაიზარდნენ ეს უზრდელები? მინდოდა მეთქვა, მაგრამ დუმილი ვარჩიე.

როცა სარკმელი გამოვკეტე, ნერვების დასაწყნარებლად სტადიონზე წასვლა გადავწყვიტე. გული უნდა გადააყოლო. სპორტი ჩემს აზრებს აუცილებლად სხვა მიმართულებას მისცემს, გამომაცოცხლებს. ერთი სიტყვით, ბილეთი შევიძინე და ტრიბუნაზე ავედი.

განა ჩვენს სტადიონზე გულის გადაყოლება შეიძლება?! ყველაფერი უაზროდ და უთავბოლოდ კეთდება. ჯერ ვზივარ ტრიბუნაზე და ფეხბურთელების გამოსვლას ვუცდი. გამოვიდნენ, მაგრამ ახლა მსაჯმა დააყოვნა. ბოლოს, როგორც იქნა, კეთილი ინებეს და თამაში დაიწყეს. თუმცა სჯობდა, სულაც არ დაეწყოთ. მარცხენა გარემარბი ისე უცნაურად და სასაცილოდ გაეთამაშა ბურთს, რომ ამის გადმოცემაც შეუძლებელია.

თავი ვერ შევიკავე და ვუყვირე:

— ბალერინასავით ნუ ცეკვავ პირით ხაზთან, შე კრეტინო, ბურთი გადაეცი!...

როგორც იქნა, დაარტყა, მაგრამ ვაი იმ დარტყმას. ცენტრფორვარდი თავისუფალი დგას, ის იდიოტი კი ნახევარმცველს აწვდის. იმ ჩერჩეტმა ნახევარმცველმა ხომ სულ დაავგვირგვინა საქმე! ნაცვლად იმისა, რომ ბურთი წინ დაერტყა, უკან მდგომ მოთამაშეს მიუგორა.

— რას ეჩრები, შე ბოთე, თუ თამაში არ იცი! — ვუყვირი ნახევარმცველს. თავს ძლივს ვიკავებ, რომ მინდორზე არ გადავუხტე და ერთი ლაზათიანი სილა არ ვაჭამო!

მოკლედ რომ ვთქვათ, ერთი წესიერი კომბინაცია არ ჩაუტარებიათ.

ხმის ჩახლეჩამდე ვღრიალებდი:

ამ დროს ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბურთი მიიღო, კართან მარტოა. ძლივს! — ამოვისუნთქე შვებით, მაგრამ რა! მსაჯმა დაუსტვინა, „თამაშგარე მდგომარეობაა“. მე, რა თქმა უნდა, ვერ მოვითმინე და მივაძახე:

— რას უსტვენ, შე ჩიტირეკია, თამაშისა არა გაგეგება რა!

მსაჯმა ისე დაიჭირა თავი, თითქოს ვერ გაიგონაო. მაშინ ხმას ავუმაღლე:

— ღორებს უნდა მწყემსავდე, ფეხბურთის მსაჯობა რა შენი საქმეა!

იმ თავხედმა და რეგვენმა მსაჯმა მხოლოდ ხელი ჩაიქნია და კარს მოსცილდა. ამ მოქმედებით მან საბოლოოდ გამოამჟღავნა თავისი სიჯიუტე.

თითო-ოროლა გულშემატკივარმაც დამიჭირა მხარი და ნამდვილი ჯოჯოხეთი დავატრიალეთ. და იცით, რა უცნაურობა მოხდა: ფეხბურთელები სულ ველარ თამაშობდნენ, მსაჯი ხომ მთლად მოტყდა. ხედავთ, რა ნაზი არსება ბრძანებულა! — მაყურებელთა სამართლიანი საყვედური ვერ აიტანა. მერე მეკარეს გავხედე და კინაღამ სიცილისგან გავიგუდე: იმოდენა ვირგლა ჩიორასავით მობუზულიყო, ცხვირპირი ჩამოსტიროდა და ფეხები უკანკალებდა.

მაგრამ თქვენ ის თქვით, რომ მაყურებელთა შორისაც გამოტყვრნენ ხეპრეები და გაუთლელები! გაჩუმება დამიწყეს, მიმტკიცებდნენ, თითქოს მე მოთამაშეებს შეურაცხვყოფდი, რომ მე თვითონ არ ვიცი თამაშის წესები და სხვას ჯასწავლი. კიდევ რაღაცას ლაყბობდნენ, მაგრამ ყურს ვინ უგდებდა. მიმიფურთხებია მათი თამაშის წესებისთვის! მე მოვითხოვ მწვავე და საინტერესო თამაშს, სულელურ წესებს რას დავეძებ! აი, რა ხალხია, არაფერს ანგარიშს არ უწევენ და თავიანთ მოსაზრებებს გაჩრიან. მერე რა უტიფრები არიან, იმის მაგიერ, რომ თავაზიანები იყვნენ!

ჩეხურიდან თარგმნა
**შ. ამირანაშვილმა.**

# დე გოლი...

## ავტომრბოლელი

მონტე კარლოს ავტორბოლაში მონაწილეობდა სპორტსმენი დე გოლი. ეს იყო საფრანგეთის პრეზიდენტის ძმისწული ალენი. იგი 29 წლისაა და სარბიელზე ფორდის მანქანით გამოდის საფრანგეთში ამ ფირმის ფილიალის განყოფილების დირექტორ ანრი შემინსა და ალენ ეშესთან ერთად.



სურათზე: მარცხნიდან — ალენ ეშე, ანრი შემინი და ალენ დე გოლი.

# პასტორი ფეხბურთის მინდორზე



ამაში არაფერია უჩვეულო. პასტორი რიჩარდსი ოდესღაც ოლიმპიური ჩემპიონი იყო ჰოკეით ხტომაში, პასტორი ბაუერი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ჰოკეიში, მაგრამ მღვდელი რომ ფეხბურთის პროფესიულ გუნდში გამოდიოდეს, ჯერ არავის გაუგონია.

ესპანელმა მღვდელმა ლასეტამ ახლახან ხელშეკრულება დადო და საფეხბურთო კლუბ „ესტელადან“ „იზარში“ გადავიდა.

გაიზრდება თუ არა ლასეტას პოპულარობა მორწმუნეთა შორის, სპორტულ ფორმაში რომ ნახავენ, ძნელი სათქმელია.

პირველი ასპარეზობა ჩვენს პლანეტაზე.



# ანჯელილო ნოკაუტში

არგენტინის ჩემპიონი „ბოკა ხუნიორსი“ დიდ გასაჭირში ჩავარდა, ვინაიდან წამყვანი მოთამაშეების დიდი ნაწილი ტრავმის გამო ხანგრძლივი ვადით გამოვიდა მწყობრიდან.

ასეთ პირობებში „ბოკა ხუნიორსის“ ხელმძღვანელებს „ზეციერ მანანად“ მოეჩვენათ ცნობილი თავდამსხმელის ანჯელილოს დაბრუნება იტალიიდან. იგი დაუყოვნებლივ ჩარიცხეს გუნდის შემადგენლობაში.

ანჯელილოს პირველივე გამოსვლას ახალ კლუბში დიდი სკანდალი მოჰყვა. 32 წლის ფორვარდმა ხელიდან გაუშვა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა. ყველაზე მოულოდნელი ის იყო, რომ ერთ-ერთი კარგი შემთხვევის დაკარგვისას მას მიეჭრა „ბოკა ხუნიორსის“ (და არგენტინის ნაკრების) კაპიტანი რატინი, რომელმაც ძლიერი დარტყმით ანჯელილო ნოკაუტში გაისტუმრა.

„რახან რატინი ასეთი კარგი მოკრივეა, დაე, მან ფეხბურთელის ბუცები მოკრივის ხელთათმანებზე გაცვალოს“, — ირონიულად წერენ არგენტინული გაზეთები.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 8 უე 08151